# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

№473 2017 წლის 27 ოქტომბერი ქ. თბილისი

**„საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/01/2014, 300160070.10.003.017666) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხე-ტყის კანონიერ წარმოშობას, დადგენილი წესით ივსება ხე-ტყის დამზადების ადგილზე, ხე-ტყის მორთრევის შემთხვევაში – ხე-ტყის სატრანსპორტო

საშუალებაზე დატვირთვის ადგილზე, სააგენტოს მიერ ხე-ტყის დახარისხების შემთხვევაში – დახარისხების ადგილზე, ხე-ტყის ტრანსპორტირების დაწყებამდე.“.

**2. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6[1] პუნქტი:**

„6[1]. სააგენტოს მიერ ხე-ტყის/ხე-მცენარის გაცემამდე მისი დახარისხების შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, ახალი წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშით მარკირება ხორციელდება მერქნული რესურსის დახარისხების აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა აიტვირთოს მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში დახარისხების დღიდან არა უმეტეს 7 კალენდარული დღისა. ასეთ შემთხვევაში, ახალი წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშით მარკირება ხორციელდება ზოგადი წესების დაცვით.“.

**3. მე-10 მუხლის მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**4. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:**

„დ) სააგენტოს მიერ მერქნული რესურსის დახარისხების შედეგად მრგვალი ხე-ტყის/ხე-მცენარის საშეშე მერქნად გადახარისხების შემთხვევაში, რომლისთვისაც სპეციალური ფირნიშით მარკირება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის გათვალისწინებული, ან/და მრგვალი ხე-ტყისაგან/ხე-მცენარისაგან სხვადასხვა ხარისხის მრგვალი ხე-ტყის/ხე-მცენარის მიღების გამო ახალი ფირნიშებით მარკირების საჭიროების შემთხვევაში.“.

**5. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი:**

„2[1]. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, მერქნული რესურსის დახარისხების შედეგად ახალი წარმოშობის დოკუმენტის გაცემის ან/და სპეციალური ფირნიშით მარკირების შემთხვევაში, წარმოშობის დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში უნდა მიეთითოს დახარისხების აქტის რეკვიზიტები (თარიღი, ნომერი), ასევე იმ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნომერი, რომელშიც ასახული იყო აღნიშნული ხე-ტყე/ხე-მცენარე, ასევე გაუქმებული ფირნიშის ნომერი. გაუქმებული ფირნიშის ნომრების მითითება შესაძლებელია დიაპაზონების მითითებითაც.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**